#18 2014 წლის 21 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს მინისტრებისათვის (სახელმწიფო მინისტრებისათვის) დანამატის დაწესების შესახებ

1. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის” მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მინისტრებს (სახელმწიფო მინისტრებს) საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესდეთ დანამატი თითოეულს თვეში 2710 (ორი ათას შვიდას ათი) ლარის ოდენობით.

2. ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული თანხა გაიცეს შესაბამისი უწყებების მიერ მათთვის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მინისტრებისათვის (სახელმწიფო მინისტრებისათვის) დანამატის დაწესების შესახებ” საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 15 მარტის №53 ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი